

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა
გეოგრაფია
II ტური

- კითხვა არჩევითი პასუხებით

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. შეარჩიეთ სწორი პასუხი და პასუხების ფურცელში შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. ჩამოთვლილთაგან რომელი უღელტეხილი აკავშირებს პირიქითა და პირაქეთა ხევისურეთს?
 - ა. აბანოს
 - ბ. დათვისჯვრის
 - გ. აწუნთის
 - დ. გუდამაყრის
2. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში (სარ) სამი ოფიციალური დედაქალაქია - ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და სასამართლო. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის სარ-ის დედაქალაქი?
 - ა. პრეტორია
 - ბ. კეიპტაუნი
 - გ. იოჰანესბურგი
 - დ. ბლუმფონტეინი
3. რომელი სახელმწიფოს სახელწოდება ითარგმნება, როგორც „დაბლობი მიწები“?
 - ა. ახალი ზელანდიის
 - ბ. ტაილანდის
 - გ. ნიდერლანდების
 - დ. ისლანდიის
4. რომელ კლიმატურ სარტყელში არ ბინადრობენ პინგვინისებრნი?
 - ა. სუბარქტიკულში
 - ბ. სუბტროპიკულში
 - გ. ეკვატორულში
 - დ. ანტარქტიკულში
5. მან ფეხით გადასერა ანტარქტიდა, არქტიკა და გრენლანდია; საჰარის, გობის და თაკლა-მაკანის უდაბნოები, პირველად ისტორიაში მარტო ავიდა ევერესტზე; დალაშქრა ყველა რვაათასიანი და ყველა კონტინენტის უმაღლესი მწვერვალი. ვინ განახორციელა ზემოთ ჩამოთვლილი მარშრუტები?
 - ა. ტიმ სევერინმა
 - ბ. ედმუნდ ჰილარიმ
 - გ. ტურ ჰეიერდალმა
 - დ. რეინჰოლდ მესნერმა
6. ჩამოთვლილთაგან რომელი არქიპელაგი მდებარეობს ყველაზე ჩრდილოეთით?
 - ა. შპიცბერგენი
 - ბ. ჩრდილოეთის მიწა
 - გ. ფრანც-იოსების მიწა
 - დ. ახალი მიწა

- შესაბამისობის დადგენა

ინსტრუქცია

ცხრილის პირველ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას მიუწერეთ მისი შესაბამისი სახელწოდება / მდებარეობა და ა.შ. (პირობით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია). პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. ცხრილის თითოეული სწორად შევსებული ჰორიზონტალური გრაფა ფასდება 1 ქულით. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

7. (6) დაადგინეთ შესაბამისობა და შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილი:

	ეროვნული სამოსი	რეგიონი
ნიმუში		დასავლეთი ევროპა
1.		







5.






6.



8. (6) დაადგინეთ შესაბამისობა და შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილი:

	კონტური	ვულკანის სახელწოდება	კუნძული ან ნახევარკუნძული, რომელზეც მდებარეობს
ნიმუში	 <p>19°29' ჩ. გ. 155°36' დ. გ.</p>	მაუნა-ლოა	კ. ჰავაი
1.	 <p>35°21' ჩ. გ. 138°43' ა. გ.</p>		
2.	 <p>56°04' ჩ. გ. 160°38' ა. გ.</p>		
3.	 <p>40°49' ჩ. გ. 14°25' ა. გ.</p>		

4.			
5.			
6.			

9. (9) დაადგინეთ შესაბამისობა და შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილი:

	გეოგრაფიული ობიექტი	ოკეანე / ზღვა / კონტინენტი / კუნძული / ნახევარკუნძული (მიუთითეთ ერთ-ერთი)
ნიმუში	<i>უდაბნო დეშთე-ქევირი</i>	<i>აზია</i>
1.	ბოტნიის ყურე	
2.	უედელის ზღვა	
3.	უდაბნო ატაკამა	
4.	კეთილი იმედის კონცხი	
5.	კუროსიოს თბილი დინება	
6.	გალაპაგოსის კ-ბი	
7.	ფოლკლენდის ცივი დინება	
8.	უდაბნო ნეგევი	
9.	უდაბნო რუბ-ელ-ჰალი	

10. (7) დაადგინეთ შესაბამისობა და შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილი:

	დედაქალაქის გერბი	დედაქალაქი	სახელმწიფო
ნიმუში		<p>ერ-რიადი</p>	<p>საუდის არაბეთი</p>
1.			
2.			
3.			

4.			
5.			
6.			
7.			

- ინფორმაციის ანალიზი

ინსტრუქცია

გაანალიზეთ დავალებაში მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

11. რა განაპირობებს ოკეანეებისა და ზღვების ნაპირებთან მიქცევა-მოქცევის პროცესს?


12. (2) რა განაპირობებს სხვადასხვა ადგილიდან ჰორიზონტის ხაზამდე მანძილებს შორის განსხვავებას?

13. (2) ეს ფოტო გადაღებულია ფიჯის რესპუბლიკის ქალაქ ვაიეგოში.

- რის აღსანიშნავად არის დადგმული ეს ნაგებობა?
- რატომ არის ამ შინაარსის წარწერები გაკეთებული აბრაზე?



14. (6) რომელი მეტეოროლოგიური მონაცემების დადგენაა შესაძლებელი მოცემულ ილუსტრაციაზე: თბილისი



დავალების №	<p style="text-align: center;">გეობრაფია X-XII კლასი II ტური შეფასების სქემა და სწორი პასუხის ნიმუშები მაქსიმალური ქულა - 45</p>	ქულა																					
1	ბ	1																					
2	ბ	1																					
3	ბ	1																					
4	ა	1																					
5	დ	1																					
6	ბ	1																					
7	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • თითოეული არასწორად შევსებული გრაფა ფასდება 0 ქულით; • თითოეული სწორად შევსებული გრაფა ფასდება 1 ქულით. <p>დავალების ჯამური ქულაა - 6.</p> <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <table border="1" data-bbox="272 768 751 1050"> <thead> <tr> <th></th> <th>რეგიონი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>ჩრდილოეთი ევროპა</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>სამხრეთი აზია</td> </tr> <tr> <td>3</td> <td>აღმოსავლეთი აზია</td> </tr> <tr> <td>4</td> <td>სამხრეთი ევროპა</td> </tr> <tr> <td>5</td> <td>აღმოსავლეთი ევროპა</td> </tr> <tr> <td>6</td> <td>ავსტრალია და ოკეანეთი</td> </tr> </tbody> </table>		რეგიონი	1	ჩრდილოეთი ევროპა	2	სამხრეთი აზია	3	აღმოსავლეთი აზია	4	სამხრეთი ევროპა	5	აღმოსავლეთი ევროპა	6	ავსტრალია და ოკეანეთი	6							
	რეგიონი																						
1	ჩრდილოეთი ევროპა																						
2	სამხრეთი აზია																						
3	აღმოსავლეთი აზია																						
4	სამხრეთი ევროპა																						
5	აღმოსავლეთი ევროპა																						
6	ავსტრალია და ოკეანეთი																						
8	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • თითოეული არასრულად ან არასწორად შევსებული ჰორიზონტალური გრაფა ფასდება 0 ქულით; • თითოეული სრულად და სწორად შევსებული ჰორიზონტალური გრაფა ფასდება 1 ქულით. <p>დავალების ჯამური ქულაა - 6.</p> <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <table border="1" data-bbox="191 1402 1242 1717"> <thead> <tr> <th></th> <th>ვულკანის სახელწოდება</th> <th>კუნძული ან ნახევარკუნძული რომელზეც მდებარეობს</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>ფუძიამა</td> <td>კ. ჰონსიუ</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>კლიუჩევსკაია-სოპკა</td> <td>კამჩატკის ნ-კ</td> </tr> <tr> <td>3</td> <td>ვეზუვი</td> <td>აპენინის ნ-კ</td> </tr> <tr> <td>4</td> <td>ჰეკლა</td> <td>კ. ისლანდია</td> </tr> <tr> <td>5</td> <td>ეტნა</td> <td>კ. სიცილია</td> </tr> <tr> <td>6</td> <td>ტამბორა</td> <td>კ. სუმბავა</td> </tr> </tbody> </table>		ვულკანის სახელწოდება	კუნძული ან ნახევარკუნძული რომელზეც მდებარეობს	1	ფუძიამა	კ. ჰონსიუ	2	კლიუჩევსკაია-სოპკა	კამჩატკის ნ-კ	3	ვეზუვი	აპენინის ნ-კ	4	ჰეკლა	კ. ისლანდია	5	ეტნა	კ. სიცილია	6	ტამბორა	კ. სუმბავა	6
	ვულკანის სახელწოდება	კუნძული ან ნახევარკუნძული რომელზეც მდებარეობს																					
1	ფუძიამა	კ. ჰონსიუ																					
2	კლიუჩევსკაია-სოპკა	კამჩატკის ნ-კ																					
3	ვეზუვი	აპენინის ნ-კ																					
4	ჰეკლა	კ. ისლანდია																					
5	ეტნა	კ. სიცილია																					
6	ტამბორა	კ. სუმბავა																					

დავალების №	<p style="text-align: center;">გეობრაზია X-XII კლასი II ტური შეფასების სქემა და სწორი პასუხის ნიმუშები მაქსიმალური ქულა - 45</p>	ქულა																								
9	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • თითოეული არასწორად შევსებული გრაფა ფასდება 0 ქულით; • თითოეული სწორად შევსებული გრაფა ფასდება 1 ქულით. <p>დავალების ჯამური ქულაა - 9.</p> <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <table border="1" data-bbox="191 493 894 930"> <thead> <tr> <th></th> <th>ოკეანე / ზღვა / კონტინენტი / კუნძული / ნახევარკუნძული</th> </tr> </thead> <tbody> <tr><td>1</td><td>ატლანტის ოკეანის აუზი</td></tr> <tr><td>2</td><td>სამხრეთის ოკეანე</td></tr> <tr><td>3</td><td>სამახრეთი ამერიკა</td></tr> <tr><td>4</td><td>აფრიკა</td></tr> <tr><td>5</td><td>წყნარი ოკეანე</td></tr> <tr><td>6</td><td>წყნარი ოკეანე</td></tr> <tr><td>7</td><td>ატლანტის ოკეანე</td></tr> <tr><td>8</td><td>აზია</td></tr> <tr><td>9</td><td>არაბეთის ნ-კ.</td></tr> </tbody> </table>		ოკეანე / ზღვა / კონტინენტი / კუნძული / ნახევარკუნძული	1	ატლანტის ოკეანის აუზი	2	სამხრეთის ოკეანე	3	სამახრეთი ამერიკა	4	აფრიკა	5	წყნარი ოკეანე	6	წყნარი ოკეანე	7	ატლანტის ოკეანე	8	აზია	9	არაბეთის ნ-კ.	9				
	ოკეანე / ზღვა / კონტინენტი / კუნძული / ნახევარკუნძული																									
1	ატლანტის ოკეანის აუზი																									
2	სამხრეთის ოკეანე																									
3	სამახრეთი ამერიკა																									
4	აფრიკა																									
5	წყნარი ოკეანე																									
6	წყნარი ოკეანე																									
7	ატლანტის ოკეანე																									
8	აზია																									
9	არაბეთის ნ-კ.																									
10	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • თითოეული არასრულად ან არასწორად შევსებული ჰორიზონტალური გრაფა ფასდება 0 ქულით; • თითოეული სრულად და სწორად შევსებული ჰორიზონტალური გრაფა ფასდება 1 ქულით; <p>დავალების ჯამური ქულაა - 7.</p> <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <table border="1" data-bbox="191 1249 870 1566"> <thead> <tr> <th></th> <th>დედაქალაქი</th> <th>სახელმწიფო</th> </tr> </thead> <tbody> <tr><td>1.</td><td>პარიზი</td><td>საფრანგეთი</td></tr> <tr><td>2.</td><td>ბერლინი</td><td>გერმანია</td></tr> <tr><td>3.</td><td>იერუსალიმი</td><td>ისრაელი</td></tr> <tr><td>4.</td><td>ათენი</td><td>საბერძნეთი</td></tr> <tr><td>5.</td><td>მადრიდი</td><td>ესპანეთი</td></tr> <tr><td>6.</td><td>ვაშინგტონი</td><td>აშშ</td></tr> <tr><td>7.</td><td>მოსკოვი</td><td>რუსეთი</td></tr> </tbody> </table>		დედაქალაქი	სახელმწიფო	1.	პარიზი	საფრანგეთი	2.	ბერლინი	გერმანია	3.	იერუსალიმი	ისრაელი	4.	ათენი	საბერძნეთი	5.	მადრიდი	ესპანეთი	6.	ვაშინგტონი	აშშ	7.	მოსკოვი	რუსეთი	7
	დედაქალაქი	სახელმწიფო																								
1.	პარიზი	საფრანგეთი																								
2.	ბერლინი	გერმანია																								
3.	იერუსალიმი	ისრაელი																								
4.	ათენი	საბერძნეთი																								
5.	მადრიდი	ესპანეთი																								
6.	ვაშინგტონი	აშშ																								
7.	მოსკოვი	რუსეთი																								
11	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი ფასდება 0 ქულით; • სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <p>ძირითადად მთვარის მიზიდულობა განაპირობებს მსოფლიოს ოკეანის ნაპირებთან მიქცევა-მოქცევით მოვლენებს.</p>	1																								

დავალების №	<p style="text-align: center;">გეობრაფია X-XII კლასი II ტური შეფასების სქემა და სწორი პასუხის ნიმუშები მაქსიმალური ქულა - 45</p>	ქულა														
12	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი ან პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • მხოლოდ ერთი ფაქტორის დასახელება ფასდება 1 ქულით; • ორი ფაქტორის დასახელება ფასდება 2 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <ul style="list-style-type: none"> • მანძილი ჰორიზონტის ხაზამდე სხვადასხვა ადგილას განსხვავებულ მანძილზე მდებარეობს. ჩვეულებრივ სიმაღლის მატებასთან ერთად ჰორიზონტის ხაზამდე მანძილი იზრდება (1 ქულა); • ჰორიზონტის ხაზამდე მანძილს განსაზღვრავს კონკრეტული ადგილისთვის განფენილობა და აქ მდებარე გეოგრაფიული ობიექტებიც. ერთი და იგივე სიმაღლეზე გაშლილ ადგილზე (მინდორში) ჰორიზონტის ხაზი უფრო შორს იქნება ვიდრე ვიწრო ხეობაში, რომელიც მთის ფერდობებით არის შემოსაზღვრული. 	2														
13	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი ან პასუხი რომელიც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება 0 ქულით; • კითხვის პირველი პირობის ადეკვატური ასხნა ფასდება 1 ქულით; • კითხვის მეორე პირობის ადეკვატური ასხნა ფასდება 1 ქულით. <p>დავალების ჯამური ქულაა - 2.</p> <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <ul style="list-style-type: none"> • აქ გადის 180°-იანი მერიდიანი, რომელიც თარიღთა ცვლის საერთაშორისო ხაზია (1 ქულა); • აბრაზე, ამ ხაზის დასავლეთით დღევანდელი დღეა, ხოლო აღმოსავლეთით ჯერ კიდევ გუშინდელი დღეა / აღმოსავლეთ ნახევარსფეროში დღევანდელი დღეა, ხოლო დასავლეთ ნახევარსფეროში ჯერ კიდევს გუშინდელი (1 ქულა). 	2														
14	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • თითოეული სწორად დასახელებული მეტეოროლოგიური მონაცემი ფასდება 1 ქულით; • თითოეული არასწორად დასახელებული მეტეოროლოგიური მონაცემის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა; <p>დავალების ჯამური ქულაა - 6.</p> <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <table border="1" data-bbox="219 1491 941 1774"> <thead> <tr> <th></th> <th>მეტეოროლოგიური მონაცემი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>ჰაერის ტემპერატურა</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>ატმოსფერული წნევა</td> </tr> <tr> <td>3</td> <td>ქარის მიმართულება</td> </tr> <tr> <td>4</td> <td>ქარის სიძლიერე</td> </tr> <tr> <td>5</td> <td>ატმოსფერული ნალექების რაოდენობა</td> </tr> <tr> <td>6</td> <td>ღრუბლიანობა</td> </tr> </tbody> </table>		მეტეოროლოგიური მონაცემი	1	ჰაერის ტემპერატურა	2	ატმოსფერული წნევა	3	ქარის მიმართულება	4	ქარის სიძლიერე	5	ატმოსფერული ნალექების რაოდენობა	6	ღრუბლიანობა	6
	მეტეოროლოგიური მონაცემი															
1	ჰაერის ტემპერატურა															
2	ატმოსფერული წნევა															
3	ქარის მიმართულება															
4	ქარის სიძლიერე															
5	ატმოსფერული ნალექების რაოდენობა															
6	ღრუბლიანობა															